დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2021 წლის 25 მარტის №2327 ბრძანებით
ცვლილებები შეტანილია უნივერსიეტტის
რექტორის 2026 წლის 25 მაისის №44365

შპს ევროპის უნივერსიტეტის
სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს სტუდენტის/სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სოციალური, სპორტული, კულტურული, საქველმოქმედო და სხვა სტუდენტური პროექტების დაფინანსების მიზნით კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების ეტაპებს, პროექტის დაფინანსების წესს და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღება

1. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი სოციალური, კულტურული, სპორტული, საქველმოქმედო და სხვა პროექტების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში.
2. სტუდენტური პროექტის დაფინანსების შესახებ სასწავლო წლის მანძილზე არანაკლებ ერთხელ უნივერსიტეტი აცხადებს კონკურს.
3. საკონკურსო განაცხადის შეტანაზე უფლებამოსილია უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ან სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი.
4. საკონკურსო პირობები სტუდენტურ თვითმმართველობასთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
5. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა რეგისტრაცია და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება საკონკურსო განაცხადით. გამოქვეყნებული განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკურსის ჩატარების ეტაპების, საკონკურსო კრიტერიუმების, კონკურსის შედეგების გამოქვეყნების თარიღებისა და სააპელაციო განაცხადის წარმოდგენის ვადების შესახებ.
6. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ხელმოსაწვდომი ხდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის სხვა ოფიციალური ქსელების მეშვეობით.
7. პროექტზე დაფინანსების მოპოვების მიზნით, სტუდენტი/სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია წარმოადგინოს ამ წესის დანართი №1-ის

შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია და პროექტის ავტორის/ავტორების ავტობიოგრაფია (cv).

8. სტუდენტური პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული სახით, უნივერსიტეტის მიერ საკონკურსო განაცხადით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად.

9. სტუდენტური პროქტის წარმოდგენის საკითხებზე კონსულტაციის გასავლელად სტუდენტ(ებ)ი უფლებამოსილია მიმართოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცენტრს და სტუდენტურ თვითმმართველობას.

10. სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს/სტუდენტებს გაუწიოს კონსულტაცია და ასევე დაეხმაროს საკონკურსო განაცხადის შედგენაში.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის შექმნა და გადაწყვეტილების მიღება

1. კონკურსის სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და თანაბარი კონკურენციის პირობებში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის წარდგინების საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება საკონკურსო კომისია.

2. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს: უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი სტუდენტი (რომელიც არ მონაწილეობს გამოცხადებულ კონკურსში), სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის წარმომადგენელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან სხვა ადმინისტრაციული პერონალი.

3. საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე ახორციელებს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი პროექტის საკონკურსო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. პროექტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს არ დაიშვება მეორე ეტაპზე.

4. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება სტუდენტთა პროექტის განხილვა და პროექტის ავტორის/ავტორთა მიერ კომისიის წინაშე მისი წარდგენა.

5. კომისია სტუდენტის/სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პროექტს აფასებს ამ წესის დანართი №2 - ით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

6. კონკურსის მე-2 ეტაპის დაკმაყოფილების მიზნით პროექტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 7 (შვიდი) ქულა. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილია რამდენიმე საკონკურსო განაცხადი გამარჯვებულია უმაღლესი ქულის მქონე პროექტი. კომისია უფლებამოსილია წარდგენილი პროექტების შინაარსიდან გამომდინარე რექტორს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით მეორე პროექტის დაფინანსების თხოვნით.

7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი პროექტის ნაწილობრივ/სრულად დაფინანსების შესახებ.

9. რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროექტის დაფინანსების ოდენობა, რის საფუძველზეც მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულება „პროექტის დაფინანსების შესახებ“.

10. „პროექტის დაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულებით განისაზღვრება: პროექტი, პროექტის ავტორი/ავტორები, დაფინანსების ოდენობა, ანგარიშსწორების ეტაპები, მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები, ანგარიშების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

მუხლი 4. აპელაცია

1. პროექტის ავტორი უფლებამოსილია კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უნივერსიტეტში.

2. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის წარდგინებით არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

3. საპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შედიან კომისიის წევრები. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

ა) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის წარმომადგენელი;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი სტუდენტი;

გ) აკადემიური, მოწვეული ან ადმინისტრაციული პერსონალი.

4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში[1] კომისიის შემადგენლობა განიხილავს სააპელაციო საჩივარს. საკითხის განხილავას ასევე შესაძლოა დაესწროს პროექტის ავტორი/ავტორები,

[1] სააპელაციო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის, დროის, ადგილის შესახებ ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეს აწვდის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი გონივრულ ვადაში.

რომელმაც გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება და ისარგებლოს შემდეგი უფლებებით:

ა) მიიღოს კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება;

ბ) დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სააპელაციო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში.

5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს კონკურსის მასალები, შეისწავლოს დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარის ახსნა - განმარტება და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება საკითხის გადაჩივრებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში:

ა) ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება;

ბ) კომისიას უკან დაუბრუნოს მასალები ხელახალი განხილვის მიზნით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სააპელაციო კომისიის წევრები.

მუხლი 5. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. პროექტის ავტორი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ახორციელებს დაფინანსებული პროექტის მონიტორინგს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროცედურულ მონიტორინგს:

ა. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

ბ. პროცედურული მონიტორინგი გულისხმობს ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული აქტივობების ამსახველი მასალის“ შესაბამისად.

4. პროცედურების დარღვევით პროექტის განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია ავტორს შეუწყვიტოს პროექტის დაფინანსება.

დანართი №1 საპროექტო განაცხადი

საპროექტო განაცხადი

1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის/ღონისძიების სახელწოდება „----------"
ევროპის უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხა ლარში: ---------- პროექტის/ღონისძიების დაწყების თარიღი: ---------- დასრულების თარიღი: ----------

2. ინფორმაცია განმცხადებლის / განმცხადებლების შესახებ

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საკონტაქტო ტელეფონის/მობილურის ნომერი	ელ. ფოსტა:

3. პროექტის/ღონისძიების ბიუჯეტი *

პროექტის/ღონისძიების სრული ბიუჯეტი	**ევროპის უნივერსიტეტიდან**	**თვითდაფინანსების თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

შენიშვნა: *დეტალური ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ უნდა იქნეს* ***შესაბამის ფორმაში***

4. პროექტის/ღონისძიების აღწერა

პროექტის დეტალური აღწერა (ღონისძიების საჭიროების დასაბუთება, პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები)

5. პროექტის მიზნები და ამოცანები?

რისი მიღწევა გსურთ და კონკრეტულად რა ქმედებების განხორციელებას აპირებთ მიზნის მისაღწევად, მოსალოდნელი შედეგი (რა შედეგს მოიტანს და ვინ იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფი)

6. **პროექტის/ღონისძიების მოსალოდნელი შედეგები**

ღონისძიების შემთხვევაში დამსწრეთა რაოდენობა, პროექტში მონაწილეთა

რაოდენობა, გამოხმაურება მედიაში და ა.შ.

7. **შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელების გამოცდილება, არსებობის შემთხვევაში**

პროექტის/ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე აღწერეთ თქვენი პროფესიული/შემოქმედებითი ბიოგრაფია, დეტალურად აღწერეთ მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება არსებობის შემთხვევაში.

8. პროექტის/ღონისძიების ეტაპები

მიუთითეთ პროექტის/ღონისძიების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ეტაპები (ამ დანართის პირველ პუნქტში მითითებულ ვადებში ჩასატარებელი აქტივობები), მათ შორის, დროში გაწერილი ძირითადი ღონისძიებები და მათი აღწერა (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ გრაფების რაოდენობა)

№	ეტაპის დასახელება	შემსრულებელი	ვადები	ადგილი (ქალაქი/სივრცე)
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

9. პროექტის ზუსტი ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსება სხვა წყაროდან
1	მატერიალურ-ტექნიკური ბაზა					
1.1	კომპიუტერი					

1.2						
1.3						
1.4						
2	**ანაზღაურების ხარჯი**					
2.1	მონაწილეთა ხელფასები					
2.2	მოწვეული პერს. ხელფასი					
2.3						
2.4						
3	**სხვა მომსახურება/ხარჯი**					
3.1	სატრანსპორტო ხარჯი					
3.2	სხვადასხვა საბეჭდი მასალების ხარჯი(ბროშურა, პოსტერი და ა.შ)					
3.3	საგადასახადო ხარჯი ხელფასებზე					
3.4						
3.5						
	ჯამი				**0**	**0**

10. **განაცხადის ჩაბარების თარიღი**

განმცხადებლის / განმცხადებლების სახელი და გვარი	ხელმოწერა

დანართი №2 პროექტის შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი		
პროექტის დასახელება		
მოთხოვნილი თანხა		
არის თუ არა სტუდენტი აქტიური სტატუსის მქონე პროექტის წარდგენის მომენტში	➢ *დიახ*	➢ *არა*
პროექტის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა		
დაფინანსებაზე განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის პროექტი, რომელთა შეფასების საბოლოო ქულა არის 7		

№	*პროექტის შეფასების კრიტერიუმი*	*ქულების დიაპაზონი*	*მიღებული შეფასება*

	პროექტის აღწერა - პროექტის მიზანი ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული -ნათლად არის გაწერილი პროექტის ფარგლებში განსახორციელებლი ღონისძიებები	*0-2*	
	პროექტის აქტუალობა - პროექტში ნათლად არის დასაბუთებული პროექტის აქტუალობა	*0-2-*	
	მოსალოდნელი შედეგები - შედეგები აღწერილია ნათლად და დეტალურად	*0-2*	
	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია	*0-1*	
	პროექტის ბიუჯეტი - პროექტით გათვალისწინებული ხარჯები ნათლად, დეტალურად და რეალისტურად არის წარმოდგენილი - ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს	*0-2*	
	პროექტის პრეზენტაცია *სტუდენტმა კომისიის წინაშე ნათლად და მკაფიოდ წარმოადგინა პროექტის განხორციელების მიზნობრიობა*	*0-1*	